სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
34698029669821

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N211105458

რეგისტრაციის თარიღი
04.10.2021 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას ოცდაერთი წლის ოთხ ოქტომბერს მე, ნოტარიუს ირმა შარვაძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჯ.შარტავას №42-ში, მომმართა მოქ. **გოჩა თომაძემ, როგორც შპს „არჩი“-ს (ს.ნ: 400232798) დირექტორმა** რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მოქ. **გოჩა თომაძემ** (დაბ.09.01.1969წ. პ/ნ: 01024008101, მისამართი: **ქალაქი თბილისი, დავით გამრეკელის ქუჩა, N 18, ბინა 36**) მომმართა. მან შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის შინაარსი, რომელიც წავიკითხე და განვუმარტე მას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **გოჩა თომაძე, როგორც შპს „არჩი“-ს (ს.ნ: 400232798) დირექტორი** ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **მარინე კავთელიშვილს (დაბ.24.10.1984წ. პ/ნ: 01014003472)** მასზედ, რომ ჩემი სახელით დააკანონოს და დაარეგისტრიროს ჩემს მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება, მოახდინოს პრივატიზაცია, რეგისტრაცია, ლეგალიზაცია, შეასწოროს ხარვეზი, მიანიჭოს საკადასტრო კოდი, შეუცვალოს სტატუსი, რეგისტრიებულ მონაცემებში შეიტანოს ცვლილება, გაასწოროს ხარვეზები, მიანიჭოს ნომერი, დაადგინოს ნებისმიერი იურიდიული მნიშვნელონის მქონე ფაქტი, იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის ნებისმიერ სამსახურში, გამგეობაში, საკრებულოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში,სანოტარო ბიუროში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტები, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტები. მოახდინოს ფართების კორექტირება, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინოს ჩემი ინტერესები აზომვითი ნახაზის, პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მომზადოს სამშენებლო პროექტი, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან. ჩაატაროს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აიღოს მშენებლობის ნებართვა, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტებს და განსაზღვროს იმ ხელშეკრულების და შეთანხმების პირობები, რაც ამ დასვალების შესარულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია ორიათას ოცდაერთი წლის **4 (ოთხი) ნოემბრის ჩათვლით.**

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს არქივში.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 10.00 (ათი) ლარი, დღგ 1,80 (ერთი მთელი ოთხმოცი მეასედი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. №507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისადების დამტკიცების შესახებ”) 31-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

“მიმნდობი”: _____

ნოტარიუსი: _____